მოკლე ანოტაცია: რძე და რძის პროდუქტები ადამიანის ჯამრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ბავშვებში, რადგან რძე შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ნივთიერებებს - მიკრო და მაკროელემენტები (ცილები, კალციუმი), რომლებიც ბავშვის ზრდასა და განვითარებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. გარდა ამისა, რძე მდიდარია ისეთი ვიტამინებით, როგორებიცაა B2 , B12 და D ჯგუფის ვიტამინები. ასევე, რძისა და რძის პროდუქტების ინდუსტრია დიდ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. წლიდან წლამდე მზარდია მოთხოვნა მსოფლიოს მასშტაბით აღნიშნულ პროდუქტებზე. შესაბამისად, მსოფლიოს სჭირდება ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც მოგვცემს საშუალებას ვაწარმოოთ ადამიანის ჯამრთელობისთვის უვნებელი რძე და რძის პროდუქტები. რძის და რძის პროდუქტების ხარისხის კონტროლის მეთოდების და წყაროების მოძიება და სრულად ათვისება შემდგომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ადამიანის მოთხოვნილელებები გაიზარდა და ასევე თანდათანობით კვლავ იზრდება ხარისხიან რძის და რძის პროდუქტებზე. 2019 წელს მსოფლიოს მასშტაბით რძის წარმოება 1989 წელთან

შედარებით 64%-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მოსახლეობის რაოდენობა ზრდამ 50.5% შეადგინა. განსაკუთრებული ზრდა აღინიშნება აზიურ ქვეყნებში, სადაც 1989 წელთან შედარებით რძის წარმოებამ 255%-ით მოიმატა. რაოდენობის მომსტებამ გამოიწვია ხაისხის კონტროლის სირთულე. ხარისხის კონტროლი, უპირველეს ყოვლისა, უნდ დაიწყოს ფერმებში, სადაც რძე იწარმოება. ფერმერებმა უნდა გამოიყენონ სწორი მეთოდი რძის წარმოებისა და დამუშავებისთვის; რძე შეგროვებისას უშუალოდ რძის დამუშავებამდე უნდა შემოწმდეს,რადგან არ მოხდეს მისი დაბინძურება. განხილული მაქვს ხარისხის კონტროლის სხვადასხვა მეთოდები მათ შორის ორგანოლეპტიკური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური საშუალებების გამოყენებით. რძის და რძის პროდუქტების ხარისხის კონტროლი, მასშტაბური ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც გახშირდა უხარისხო პროდუქტების რაოდენობა. ადამიანის ჯანმრთელობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხალხს საშუალება უნდა ქონდეთ მიიღონ ჯანსაღი პროდუქცია და არ სევიდნენ შეცდომაში. მნიშვნელოვანია, რთული ხარისხის კონტროლის მეთოდები გარდავქმნათ ყველასთვის მარტივად გასაგებად. ეს აუცილებელია და

მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის,რომ არ მოხვდეს, მათი შეცდომაში შეყვანა. საინტერესოა, ასევე როგორ და რა ფორმით ხდება საქართველოში რძის და რძის პროდუქტების ხარისხის კონტროლი, რომელზეც ჩემს ნაშრომში ვისაუბრებ. რაც შეეხება ჩვენ ქვეყანას, საინტერესოა როგორი პროდუქციას აწარმოებენ და როგორ არის ინფორმირებული ხალხი რძის პროდუქტების ხარისხზე.